KA020134600565220

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ბრძანება

№ 1-1/217 **15 / ივნისი / 2020 წ.**

ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივისა და გიგა ჩოხელის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) წარმოდგენილია ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივისა და გიგა ჩოხელის 2019 წლის 27 დეკემბრის N19014/21 ადმინისტრაციული საჩივარი, „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი - 1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 15 იანვრის N1-1/19 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი მიღებულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში და საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვრა წარმოებაში მიღების დღიდან 2 თვე.

განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სამინისტრომ გამოარკვია შემდეგი:

„დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის" სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს N2-707 ბრძანებით, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის" პროექტზე გაიცა სკოპინგის დასკვნა N26.

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 1) მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ" ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 10 იანვრის N12 ბრძანების თანახმად, დამტკიცდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 1) მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 1) მშენებლობისთვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების შესახებ" ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 იანვრის N16 ბრძანების თანახმად, შეთანხმებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 1) მშენებლობისთვის წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია.

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 1) მშენებლობისთვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების შესახებ" დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 15 თებერვლის N338/ს ბრძანების თანახმად, დამტკიცდა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის

ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 1) მშენებლობისთვის წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია.

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 2) მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ" დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 14 თებერვლის N327/ს ბრძანების თანახმად, დამტკიცდა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 2) მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, გარდა რეკრეაციულ ტერიტორიაზე გამავალი საპროექტო გზის მონაკვეთისა.

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 2) მშენებლობისთვის წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების შესახებ" დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 14 თებერვლის N328/ს ბრძანების თანახმად, დამტკიცდა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის, ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი - 2) მშენებლობისთვის წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, გარდა რეკრეაციულ ტერიტორიაზე გამავალი საპროექტო გზის მონაკვეთისა.

„დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-354 ბრძანების თანახმად, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარდგენილ დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2019 წლის 09 აგვისტოს N2-03/11076 განცხადებით სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს გადაუგზავნა ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობის (ლოტი - 1 და ლოტი - 2) საპროექტო დოკუმენტაცია და ასევე აცნობა, რომ დეპარტამენტის მიერ მიწის ნაკვეთების საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები სააგენტოში წარდგენილი იქნებოდა 2020 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციის სავალდებულო საპროექტო დასკვნები კი 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2019 წლის 28 ოქტომბრის N2-12/14643 განცხადებით მიმართა სააგენტოს და აცნობა, რომ ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის განხორციელების მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას წარმოადგენდა შპს „ჩინეთის სარკინიგზო გვირაბის ჯგუფი კო."-ს ფილიალი საქართველოში, რომელთანაც გაფორმებული იყო შესაბამისი ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესახებ. განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის დროულად მიღებასთან დაკავშირებით, კომპანიამ 2019 წლის 09 ოქტომბერს განცხადებით მიმართა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წინაშე შუამდგომლობის თხოვნით.

„ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი - 1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანებით, 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გაიცა მშენებლობის ნებართვა ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი - 2).

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლის, ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე სამინისტრო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს ქვემოთ მოხმობილ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებულია „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი - 1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული

საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტის ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის იმპერატიულ-ნორმატიულ მოთხოვნებს და შეიცავდეს აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს. კერძოდ, სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო-ადმინისტრაციული აქტის ავტორი. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართული უნდა იყოს კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისა და არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისკენ, ანუ იგი უნდა აწესებდეს, ცვლიდეს წყვეტდეს ან ადასტურებდეს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, საჯარო დაწესებულების ნების შესაბამისად, კონკრეტული ღონისძიება მიმართული უნდა იყოს უშუალო სამართლებრივი შედეგის ცალმხრივად და შესასრულებლად სავალდებულო ძალით, უცილობლად წარმოშობისკენ.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ხოლო, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი განიმარტება, როგორც დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (06.11.2019 წელს მოქმედი რედაქცია) მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოა და ამ კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს ობიექტების სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტის თანახმად, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასცემს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვას.

„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილების 68-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების (შემდგომში - N57 დადგენილება) (06.11.2019 წელს მოქმედი რედაქცია) პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს დადგენილება მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროს. კერძოდ, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა - ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს.

N57-ე დადგენილების (06.11.2019 წელს მოქმედი რედაქცია) 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, II სტადია - არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება, III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა), რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

N57-ე დადგენილების (06.11.2019 წელს მოქმედი რედაქცია) 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთი მშენებლობის ნებართვის მისაღებად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, და ინფორმაციას მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ.

N57-ე დადგენილების (06.11.2019 წელს მოქმედი რედაქცია) 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ V კლასს დაქვემდებარებული ობიექტების მშენებლობა დაკავშირებულია მშენებლობის განხორციელების დასამუშავებელი დოკუმენტების დიდ მოცულობასა და შემჭიდროებულ ვადებში შესასრულებელ მასშტაბურ სამუშაოებთან, აგრეთვე დაპროექტებისათვის საჭირო გარემოებები ზუსტდება დაპროექტების პროცესში, ასევე, თუ V კლასს დაქვემდებარებული ობიექტები წარმოადგენს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და სოციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობებს ან მათ კომპლექსებს, რის გამოც შეუძლებელია ბოლო სტადიისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი, სრულად დაკომპლექტებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტის წარდგენა, ნებართვის მაძიებლის სათანადოდ დასაბუთებული შუამდგომლობის შემთხვევაში და მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაიცეს მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთზე ან/და ნაკვეთებზე საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთისა და სამშენებლო დოკუმენტის პროექტის ზოგიერთი ნაწილის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, სანებართვო პირობებში განისაზღვრება ამ დოკუმენტების წარდგენის ვადა. ნებართვის მფლობელს შეუძლია დაიწყოს სათანადო სამშენებლო სამუშაოები იმ მიწის ნაკვეთზე ან ნაკვეთებზე, რომლებზეც წარადგენს საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელ საბუთს და შესაბამის საპროექტო დოკუმენტაციას.

საქმეში არსებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობის შეუფერხებლად და დადგენილ ვადაში განხორციელებისათვის საჭირო მშენებლობის ნებართვის დროულად გაცემის თაობაზე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2019 წლის 28 ოქტომბერს განცხადებით მიმართა სააგენტოს, რომლის საფუძველზეც სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ 2019 წლის 06 ნოემბერს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესასრულებელი პირობებით, გამოიცა „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი - 1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ N188-04 ბრძანება. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის, ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი -1 და ლოტი - 2) მშენებლობის მიზნებისათვის უკვე გაცემული იყო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების შესახებ შესაბამისი ბრძანებები. ასევე, სააგენტოში წარდგენილი იყო „დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-354 ბრძანება. შესაბამისად, საჩივრის ავტორების პოზიცია, რომ გასაჩივრებული ბრძანება სააგენტოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით იქნა გამოცემული, მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს. ამასთან, ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მშენებლობის გარემოზე ზემოქმედებასთან, სცილდება სააგენტოს კომპეტენციას და წარმოადგენს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კვლევის საგანს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სამინისტროს მიაჩნია, რომ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანება გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადო შეფასებისა და შესწავლის შედეგად და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის წინაპირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 10 თებერვლის N1-1/66 ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. არ დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივისა და გიგა ჩოხელის 2019 წლის 27 დეკემბრის N19014/21 ადმინისტრაციული საჩივარი.

2. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილე

ნინო ენუქიძე